



# სასაზღვრო ზაფხული

საქართველოს საბჭოთაო  
კავშირი

საბჭოთა დემოკრატიული ჯარსაშენებელი

გაზეთის № 140. კვირა, 24 ოქტომბერი 1910 წ. დამატების № 24





# ჩემს იღვალს

ეს ანგელოზად შენ შებატები,  
ჩემო სიკოცხლის დამამშვენებლო!  
სიყრმითვე შენსკენ მივესწრაფები,  
ტკიანის გზაზე ნათლის მფენებლო.

შენ იყავ ჩემი გამმზნებელი,  
ზოროტი ძალნი როს ფრთას მპკრიდნენ,  
და დედასკით მსაზრდობელი,  
მშვიტრ-მწყურთვალეს როს სულსა მხლიდნენ!  
სოფლის სიყალბემ, უკულმართობამ  
ჩემს გულში თუმც ღრმა კვალი დასტოვა,  
მაგრამ ამ დღენამ, უსამართლობამ  
მე შენთან უფრო დამახლოვა.

აბა რა არის ჩემთვის წვალბა? —  
ეს ჭირი ღიბნითა შეწვევლია,  
თვით ზორციელი გარდაცვალბა  
იქნება კიდევ მოწყველია.

აბა რა არის, მუხთალა ბედა  
თვით ჯოჯობეთის ცეცხლი მიმზადებდეს? —  
ოღონდ მე მკონდეს შენი იმელი  
და შენი სიგი წინ მინაებდეს!

მოძმის სიყვარულს მოწყურებულნი  
ცივის უდაბნოში გამოგნდი ობლიად,  
დაედვიარ, ვერებ გაშტერებული  
და ვერც ოაზისს გხედვ მახლობლად.



კახიბანი მკინიძე,

ჩრდილოც საფრენ მანკინიან ჩამოვარდა და გარდაიცვალა.

# სეშელერა

კარგნი საქმენი წინაპართანი  
გული აგვიჭკროლებს, სიკოცხლს ჰმატებს,  
ჩვენს სენიღისსა იგი სდარაჯობს,  
კეთილის ქნისას სურვილისა ჰმატებს.

ნეტავი იმ ერს, ვის წინაპარნიც  
ზე-კაცობითა დიდ საქმეს ჰქენიდნენ!  
ვინ მოერევა—თუნდ იმის ძეთა  
ათასობითა თავებსა სპირიდნენ?

ღიად, ასეა! სათავე წყალთა  
თუ არ დამშრალა და უხვად მოსწქეფს,  
იმის ბოლოსა არ ეშინიანს; —  
დააშროს—ისე ვერაინ მოჰპზვრეფს.  
დღეს თუ დასტრეფდა და დინაკლულდა,  
ხელო ვხედავთ, მოჰქეფს, მრისხანედ მოჰყეფს!

ეს კარგად ვიცი და ამის გომო  
გული მიკვდება, წყულუნო მტკივიან,  
წინაპარნი ვართ მომავალიათვის,  
„მამაპანო“, ვგონობ, გვიყვიან:  
მოგვეტოთ რამა საზროდ სულისა,  
გვებეწებთან, ხელმებს გვიწვდიან,  
მე ეს სიტყვები გულს მიგმირავენ,  
მძინარს და მღვიძარს ყურთ მიწვიან.  
რომ ვერას ვაწვიით ხელ-ცარიენი,  
როგორ სწყრებიან, როგორ ჩივიან!  
ფხედვ მათ სახეს აშკარად, ნათლად,  
ცეცხლამოდებულნი ჩემს თვალწინ ჰქრიან  
შვილთ სანუგეშოდ, დასატრებლად.  
ვაპ ასეთ ყოფას, —ტრემლენი მდიანი..

ვათა-ფშავილა.



პორტუგალიის ჩამოღუტვა:  
მონარქისტთა ჯარები მიახლოვდნენ!

მე ცხოვრებაში გამოუცდელსა  
წილად მხელა ჯაფა და გაქირვება,  
და თავს გადამხდა გადაუხდელსა  
ბევრი სირცხვილი, თავ დამკირება.

რად ვიკოცხლებდი? კნესა, ვაება  
გულს მომიკლოდა მუღმიე მზავერელი,  
რომ შენ არ მყავდეს სრული, ღვთაება,  
ზე-აღმტაცი და სულის ჩამდგმელი!

იყო წამები ჩემს სიკოცხლში,  
როცა გაქრობა მენატრებოდა,  
და ყოველს საფანს იმ შეგზნულს დღემ  
სიყვდილის ფერი დაიდებოდა.



მაშინვე სახე ბრწყინვალე შენი  
ჩემს ცის კიდურზე გამოჩნდებოდა,  
ჩამომემოდა ხმა აღმამფრენი  
და სული ჩემი კვლავ მალოდებოდა.  
ამაღლდეს სული, ყველა დასძლიოს,  
რაც ხელ-ფეხს მიკრავს, მიჩენს მე აღსა,  
რომ შენსკენ მფრენდეს, შენ მივალწიოს  
ჩემს სათაყვანოს, ჩემ იღვალსა!..


მელიტონ გობეჩია.

# ...შენ რაღა გითხრა?!

შენ რაღა გითხრა, მთის ნიაგო, ბუნების ლალ-შვილს,  
ბუჩქნარს დაღალი ჩამოშლია მწვანე ხავერდზე;  
შენ რაღა გითხრა, ჩემო მუზავ, რომ მაწვდი ყვავილს,—  
ეგ ხომ, გიყვამო, მე მოკვირფე საჭრფოს გულ-მკერდზე?..

\*\*\*

ჩვენ ვიცნობით, ნეტავ იმ დროს ჩვენ ვოცნებობდით,



მთის ყმალი ზელიმ-ხანი (მარჯვნივ) და მისგან მოკლული ოფიცერი  
თავ. ანდრონიკაშვილი (მარცხნივ).

## მ ც ხ ე მ ა

საც ზვირთნი მტკვრის და არაგვის  
ერთმანეთს ეგებებიან  
და საქართველოს ამებებსა  
ოხებრითა ეუბნებიან,—  
იქ ტაძარი სდგას დალი,  
სივრცეში ამაღლებული,  
და ვაღაპურებს მიდამოს  
მწუხარე, ჩაფიქრებულნი.  
მდინარენი—კი უმდგრენ,  
მოავონებენ წარსულსა,  
მოსთქვამენ ქართველთ ღიღებსა,  
საფლავს უღროოდ ჩასულსა.  
გისულა ეამი ნეტარი,  
სხივი ჩამქრალა შეებისა,  
დროს წაული უწყალოდ  
ნუგეში ქართველებსა.  
თამარს, დავითს და ერეკლეს  
საფლავში სძინავს ყველასა,  
სამშობლოს აოხრებულსა  
ველარ აძლევენ შევლასა.  
მცხეთა, დიდების ტაძარი,  
გულში იხუტებენ შვილებსა,  
თავს უკვდავ ძეგლად აღგია  
ხალხისთვის დახოცილებსა...

ი. მჭედლიშვილი.

ზღვაზე ვსკურავდით, ზღვაზე მკროლით ოკუნების ნავით;  
აღუქმის ქვეყნისკენ მივალტვოდით... ზვირთებს ვაპოზ-  
ლით,—  
ის საქვს სცემდა, მე კი ტალღებს ვებრძოდი მკლავით.

\*\*\*

სატრფო აღარ მყავს, სატრფო-სივდა მომიკვდა უბზოდ,  
კუბოდ გაღმეკვა, ბედკრულს ნავი, ფსკერს ჩაიძირა...  
სატრფო აღარ მყავს—მოკვდა... გესმით? მოკვდა უტემოდ.—  
დაიმხებრა არფა... დასწყუნენ სიზინ... [დავკარგე წკირა.

\*\*\*

რისთვის ვიცოცხლო? რას ვეწიო? რაა მიზანი?  
სად არის ჩემი მისწრაფება, დანიშნულება?  
ფერფლად მაქციეს ქვეყნის მეფე-ადამიანი,  
გამიზიადებს მომავალი თავისუფლება.

\*\*\*

შენ რაღა გითხრა, მთავ-მყინვარო, ბუნების ლალ-შვილს,  
ბუჩქნარს დაღალი ჩამოშლია მწვანე ხავერდზე;  
შენ რაღა გითხრა, ჩემო მუზავ, რომ მაწვდი ყვავილს?—  
ეგ ხომ, გიყვამო, მე დავაქენ სატრფოს გულ-მკერდზე?  
ი. გრიშაშვილი.



# სერენად

(მოქანაქება)

ვიღრე ვარ ისევე ქალწული, წმინდა,  
 რატომ არა გსურს, რატომ არ გინდა —  
 ყვავილს გაწვდიღე, მოწყვეტლს ველით,  
 თმის კულულებზედ შეგებო ხელით?  
 ქანდაკებთა გამოკითხობა საუბრე შენი  
 და დაგინახო, იმით შორის როგორა ჰქვინი?..

— 1 —

შენი სულისა პოეზია შეუ შთაბოძებრე,—  
 სამაგიეროდ ლექსთა წყნა მიიღე მერე!..  
 რატომ არა გსურს, რატომ არ გინდა?  
 ვიღრე ვარ ისევე ქალწული, წმინდა—  
 შენის თვალებით დაგინახო ზღვა  
 და ბედს, სიყვარულს ფრთები შეგასახა!

ბაზილიანი.



## ლოცვა

კლდევი ვარ, უფალო!  
 ცლდე მიმიძღვის, უფალო!  
 გულწრფელია, უფალო, მხოლოდ ლოცვა ჩემი; უმანკაო  
 სურვილი ჩემი; ღრმა ტანჯვა ჩემი; სეტყატი არს სული ჩემი.  
 კლდევი ვარ, უფალო!  
 ცლდე მიმიძღვის, უფალო!  
 მუხლს ვეყარე შენს წინაშე; ცრემლსა ვღვრი, უფალო,  
 და შემოგაღაღებ.

არ მსურს, უფალო, ტანჯვანი შემიმსუბუქე; ცლდე  
 შემიწინი. არა, უფალო: უანგაროა ლოცვა ჩემი და ფაქი-  
 ზი ვეღრება ჩემი.  
 მოველ წინაშე შენსა, უფალო, რათა დაღლიტყე: აღ-  
 ტაცება ჩემი, სიყვარული ჩემი შენდამი; რათა იცოდნე, უფა-  
 ლო, თუ როგორ დაუვიწყარ და სანატრელ ხარ ჩემთვის.  
 ჩამადე გენიას; ნუ გამოიჯიხავ მოწყალებითა, უფალო,  
 ოღონდ სხივ-მყენს სახესა შენსა შემებედე; ნუ მომაკლებ სი-  
 ყვარულსა შენსა როგორც მე არ შეთავაზებო სიყვარული  
 შენდამი თვით წამსა ბოროტ-მოკმედლებათა ჩემთა. ვშორდებ-  
 ზოდი საუფლოსა შენსა ბოროტად სასველელად, მაგრამ სხე  
 შენი, სიყვარული და თავყანისცემა შენდამი შეუღლებულად  
 წმინდად თანა დამქონდა.  
 მისისხანე ხელი შენი მსჯიდეს, ხოლო გულსა შენსა  
 ვუყვარდე.

ზრისა შეუქმნია სურათი ბილწი, გულსა კი ჰყავდი  
 შენ მნათობლად, ნუგეზად, წყლულთა მალამოდ.  
 ნუ შემიწინი, ოღონდ გიყვარდე. დამსაჯე, ოღონდ  
 ნუ იიღებ ჩემზე ხელს.

## ლიმალეზე

(მულტატულია)

პებელა აფრინდა მალა, ძალიან მალა!.. იგი სტკე-  
 ზოდა თავისუფლებით, სიკეთესით, მაყარამ ყველაზედ უფ-  
 რო ახარებდა ის სანახავი, რომელიც მის ქვეშ გადაშლილიყო!  
 — ამოფრინდით, ამოფრინდით აქ... მალა! — თითქოს  
 უძახდა იგი თავის ღმებს, რომელნიც ძირს ყვავილთ შორის  
 დაფრინავენდნენ.  
 — ჩვენ ესწუწნი თა თაველს და ამიტომ დავრჩებით  
 ძირს!

— ახ, რომ იცოდნო, საყვარელი დებო, რა საუცხო-  
 ვო სანახავი აქვდა ირგვლივ ყველაფერის ამოფრინდით,  
 ამოფრინდი აქ!

— მერე, არის განა მანდ ისეთი ყვავილები, რომელ-  
 თაგან შესაძლებელი იქნება ამოვსწოვოთ თაფლი, უსაქ-  
 როსი პებელათა ცხოვრების გასაგრძელებლად?

— აქედან **სხანს** ყოველი ყვავილი, და ეს კი სიტ-  
 კობეა!

— არის თუ არა მანდ თაფლი?  
 თაფლი მართლაც არ იყო.

საცოდავი პებელი, რომელიც დედაიწის ცხოვრებისა-  
 ლე განუსაზღვრელ სიმუქილით იყო აღსავსე, მოიქანცა...

მაგრამ ის მინც სცდილობდა შეტეგბულიყო სიმა-  
 ლეზე. მის საუცხოვოდ ქიჭებოდა, როდესაც ზევდან  
 ძირს, დედაიწის დასცქეროდა.

მაგრამ თაფლი?.. თაფლი?..  
 თაფლი მალა არ იყო...

და დასუსტდა საწყალი პებელი მისი პატარა, უღონო  
 ფრთები მოიქანცა და იგი... თან და თან უფრო და უფრო  
 ცოტას ხედავდა.

თუმცა კი მას გულით სწყურდა, ჰსურდა...  
 მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა!

იგი ქვევით ეშვებოდა!..  
 — იი, შენ ისევე აქა ხარ! — შესძახეს ღმებმა, — განა  
 ჩვენ ეს არ გინიწარმებდებოდა? მერე ჩამოხვედი ძირს იმი-  
 ტომ, რომ ყვავილებიდან ამოსწოვო წვენი ისე, როგორც  
 ჩვენ.

— ჩვენ ეს ვიცოდით!  
 ასე ამბობდნენ ღმები და თან უხაროდათ, რომ ისინი  
 მართლები იყვნენ, თუმცა ეს ხდებოდა მხოლოდ იმიტომ,  
 რომ მათ არ ესმოდათ მშვენიერა გატაცებისა.

— ჩამოდი ძირს და შეგაროვე თაფლი [ისე, როგორც  
 ჩვენ.

და პებელიც უფრო და უფრო ძირს ეშვებოდა...  
 და ჰსურდა კიდევ...  
 ამ აღვლილს ყვავილებს ბუქნარის გაღებულს...

მაღლწვეს მის პებელა, თუ ვერა?  
 იგი აღარ ეშვებოდა. იგი დევდა უცბად...  
 ბუქნარის გვერდით, ურმის ნავალში...  
 აქ იგი წიხლით ვირბა გასისო.

შალვა ტატიშვილი.

### გამოვიდა და ისხედება ყველა წიხნის ბალახივით



გამოვიდა  
 მიხილ ნიხნახიხნ  
 ფანი 10 კაბეტიქ  
 [აღვრისა:  
 ტყვილისი, ქარ-  
 თველითა აწინა-  
 ვაგის სტანა.  
 ტლფე, № 372.